ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ილიასათვის არის ქართველის სტატუსის ჩამოყალიბება არა იმპერიულ ცენტრთან და რუსეთის იმპერიასთან მიმართებაში, არამედ ევროპის თავისუფალ სივრცესთან მიმართებაში. სწორედ ამ თავისუფალ სივრცესთან დაკავშირება ილიასთვის ცოდნით და მეცნიერებით არის შესაძლებელი, მაგრამ ასევე შესაძლებელია ის ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანით, როგორიც არის ქართველთა შორის ერთიანობის და თანასწორობის დამყარება. როდესაც თავის წერილში მეცხრამეტე საუკუნეს აანალიზებს, ილია ძალიან კონკრეტულ მიჯნას დებს პრემოდერნულ ეპოქასა და თანამედროვე მოდერნულ ეპოქას შორის, რომლის შემქმნელადაც ის მეცხრამეტე საუკუნეს მიიჩნევს. „ვინ მოსთვლის ყოველ იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას, - ამბობს იგი, - ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარ საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზე გინდ იდგეს, მაინც ადამიანია და, ვითარცა ადამიანი, ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატკივარი“.

ცხადია, ამავე წერილში - „მეცხრამეტე საუკუნე“, რომელიც 1899 წელს დაიწერა და რომლითაც ილია ჭავჭავაძემ შეაჯამა მეცხრამეტე საუკუნე, მეცხრამეტე საუკუნის გამოცდილება თანადროულ მსოფლიოში, ილია ამბობს, რომ რა თქმა უნდა, დასავლურ ცივილიზაციასაც დღეს ძალიან ბევრი უკლია ამ საყოველთაო თანასწორობის იდეამდე, მაგრამ ეს არის ის ღირებულება, ის იდეა, რომელიც პროგრესულმა კაცობრიობამ გაითავისა და რომლის შეთავაზებასაც ილია თავისი პუბლიცისტური თუ მხატვრული შემოქმედებით ახდენდა ქართველი ერისთვისაც. ის, რომ საქართველო ელიტარული სივრციდან უნდა გადაქცეულიყო ერთიანი, მასობრივი თანხმობის სივრცედ, ილიასთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომლითაც ის, ფაქტობრივად, დაუპირისპირდა თავის წინა თაობას.

ცხადია, სკოლიდანვე თითოეული ქართველი მოსწავლისთვის ნაცნობია ის ტექსტები, ის წერილები და ის ლოზუნგები, რომლითაც ილიას, როგორც შვილების თაობის, დაპირისპირება მოხდა მამათა თაობასთან. რაში მდგომარეობდა ამ დაპირისპირების არსი, ფაქტობრივად, ჩვენ უნდა დავინახოთ იმდროინდელი კოლონიური სინამდვილისა და ამ სინამდვილის დღევანდელი პოსტკოლონიური ანალიზის ინსტრუმენტების მეშვეობით. ეს არის ის ვითარება, როდესაც საქართველო, ცხადია, თავს აცნობიერებს სხვა ქვეყნის ნაწილად, რომელიც გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში, ყველამ ვიცით, თუ როგორ იქნა ვერბალიზებული; როგორ იქნა გამოგლოვილი ის ვითარება, რომ ჩვენ დავკარგეთ თავისუფლება, ის, რომ საქართველო აღარ არის სუვერენული ქვეყანა, ის, რომ საქართველოს აღარ მართავს საკუთარი სამეფო კარი და ქვეყანა აღმოჩნდა სხვათა მმართველობის ქვეშ. მაგრამ მთავარი, რასაც ილია ჭავჭავაძე საყვედურობს მის მამათა თაობას, ეს არის არა პრინციპული ნაციონალური ღირებულებების დაცვა სიტყვითაც და საქმითაც, არამედ სხვაობა სიტყვასა და საქმეს შორის, რაც ძალიან ნათლად დღეს დიფერენცირდება, როგორც ჰიბრიდულობა საზოგადოებისა და საზოგადოებრივი დისკურსისა.

რას ნიშნავს „ჰიბრიდულობა“?
ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ნაციონალური დისკურსი, რაც კოლონიზირებულ ქვეყანაში არის განვითარებული, ატარებს ასევე იმ ნიშნებს, რომელსაც მას სთავაზობს იმპერიული ცენტრი, იმპერიული დისკურსი. რაში გამოიხატებოდა ჰიბრიდულობა იმ კონკრეტულ ქართულ რეალობაში? ეს იყო ის ბრალდებები, რასაც ილია ჭავჭავაძე უყენებს გრიგოლ ორბელიანს და მის თაობას, რომ მათ გაცვალეს საკუთარი ერი ჩინებზე; რომ მათ გაცვალეს საკუთარი ერი საკუთარ კეთილდღეობაზე, საკუთარ პრივილეგირებულობაზე და, ასევე, მათ გაცვალეს ერის იდეა იმპერიის მსახურების იდეაზე - საქმით, თორემ რეალურად, რა თქმა უნდა, თუკი ჩვენ საუბარი გვაქვს მამათა თაობის ტექსტებზე, ეს არის ძალიან პრინციპული გამოხატულება ეროვნული იდეისა. და მართლაც, როდესაც გრიგოლ ორბელიანის გამოსათხოვარ სიტყვას წერს და, ფაქტობრივად, იმ როლს, იმ ფუნქციას, რაც გრიგოლ ორბელიანმა ქართული საზოგადოების წინაშე იტვირთა, ძალიან დიდ პატივს მიაგებს, ილია ამბობს ასეთ სიტყვებსაც:
„იგი იყო თვითმპყრობელი ქართული ენისა და არამარტო მისმა სამხედრო ღვაწლმა მოიყვანა საყოველთაო გლოვის ჟამს სხვადასხვა ხარისხის, სხვადასხვა ასაკის და სქესის ქართველები, არამედ, სწორედ იმან, რომ იგი იყო მეუფე ჩვენი სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა“.
სწორედ ამავე სიტყვაში ილია ხაზგასმით მიუთითებს იმასაც, რომ გრიგოლ ორბელიანის სიტყვა, მართალია, არ იყო საქმე, მაგრამ ეს არის სწორედ ისეთი სიტყვა, რომელიც იქცევა ქვეყნისთვის საქმედ.
„მაგრამ არიან ქვეყანაზეც იმისთანა რჩეულნი, იმისთანა ზეგარდმო მადლით ცხებულნი, რომელთაც მინიჭებული აქვთ ერთი სასწაულმოქმედი ძლიერება. იგი სასწაულმოქმედი ძლიერება თვითონ სიტყვასაც საქმედა ჰქმნის“.
ანუ ეს პატივი, რომელიც ილიამ ამ თაობას და პირადად გრიგოლ ორბელიანს გარდაცვალების ჟამს მიაგო, სწორედ იმის გამოხატულებაა, რომ ილია არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ვერბალურ საქმიანობას ერის გამაერთიანებელ ქმედებებში, ვიდრე სოციალურ და სამოქალაქო საქმიანობასაც. მაგრამ ის თვითონ იყო სწორედ ამგვარი საზოგადოებრივი სამოქალაქო საქმიანობის მაგალითი ქართველებისათვის.
ილია ჭავჭავაძემ ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა არამარტო შემოქმედებით-ესთეტიკურ საქმიანობაში - როდესაც მან შეცვალა რომანტიზმის ესთეტიკა რეალიზმის ესთეტიკით, არამედ პოლიტიკურ-სააზროვნო იდეოლოგიურ საქმიანობაშიც - როდესაც შეცვალა პოლიტიკური რომანტიზმი (როგორადაც ქართველი რომანტიკოსების თაობის პოლიტიკურ საქმიანობას უწოდა კიტა აბაშიძემ) პოლიტიკური რეალიზმით. შესაბამისად, პოლიტიკური რეალიზმი, რომელიც ილიამ დაამკვიდრა, ძალიან მისადაგებულია იმდროინდელი ევროპული ერების ქმედებებთან, როდესაც ერთიანი სოციუმის შეგრძნების შექმნა და სოციუმში ინდივიდის, პიროვნების, თითოეული ადამიანის უფლების აღიარება წარმოადგენს კიდეც ერის ერთიანობის საფუძველს. ცხადია, ილია ამ შემთხვევაში ძალიან ნიშანდობლივ აქცენტს აკეთებს ქალთა უფლებებზე საქართველოში და ქალთა განათლების საკითხებზე. ეს არ არის შემთხვევითი. ეს არის სწორედ ის

პროგრესული ღირებულება, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ევროპული საზოგადოებისთვის არის მნიშვნელოვანი, ევროპული ქვეყნებისთვის არის მნიშვნელოვანი. სწორედ ამ ლოგიკით ილია საქართველოშიც აქცენტს აკეთებს დედათა განათლების საკითხებზე თავის წერილებში, ისევე, როგორც ქალთა სოციალურ ფუნქციაზე.
თავის წერილში - „დედათა საქმე და ქალთა განათლება“ - 1899 წელს ილია ძალიან ნათლად აცხადებს, რომ ქალის სოციალური როლი არ უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ დედობით, ცოლობისა და დობის უღლით; იგი უნდა იყოს ორიენტირებული მაღალ მიზნებზე, მაღალ სოციალურ-სამოქალაქო და თვითრეალიზებად მიზნებზე.
„დედაც კაცია, ადამიანია, - ამბობს ილია, - და მარტო კაცისა და ადამიანის სახელით დედათა უფლების საქმე უნდა ღაღადებდეს და თხოულობდეს თვის წარმართვასა. ამ ფართო გზაზედ სდგას ეს საქმე ევროპაში დღეს და გვგონია, ვერაფერს სამსახურს უწევენ ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგალით უზომავენ ადგილს და დედაკაცი ადამიანობიდან ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობისა და ცოლობის და დობის უღელი გააწევიონ, ესე იგი, ბევრისაგან ცოტა უწყალობონ“.
სწორედ, ამ აქცენტით, ილია დღევანდელ საქართველოსაც ეხმიანება, ცხადია, იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, ილიას მიერ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დასახული ამოცანები ეს არის კაცობრიობის პროგრესის იდეაზე ორიენტირებული ამოცანები, რომელიც თავის აქტუალობას არ კარგავს კვლავ და კვლავ ოცდამეერთე საუკუნეშიც. ის, რომ თითოეული მოქალაქის როლი, ეს არის ილიასთვის ნიშანდობლივი ამოცანა და თითოეულ მოქალაქეში პერსონალური თვითშეგნების, პერსონალური თვითიდენტობის გაღვიძება არის ერთიანი ნაციონალური ამოცანა, მის მიერ პუბლიცისტურ წერილებშიც არაერთხელ არის ხაზგასმული და, ცხადია, ის ხაზგასმულია ლოზუნგების სახით, მოწოდებების სახით მის პოეტურ შემოქმედებაში.
თუკი ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ შემოქმედებაში, ისევე, როგორც, ცხადია, პოეტურ და პროზაულ შემოქმედებაში, ძალიან მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მინიჭებული თითოეული ქართველის ერთიანობის განცდის კულტივირებას, ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ილიას რიტორიკამ მაშინ, როდესაც საქართველოს ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა - ეს არის ბათუმის და ტაო-კლარჯეთის მიწების ტერიტორიების ნაწილის შემოერთება, დაბრუნება საქართველოსთვის თურქეთის, ანუ იმდროინდელი ოსმალეთის იმპერიის მფლობელობიდან, რაც ისტორიულად უკავშირდება 1877-1878 წლების რუსეთ-თურქთის ომს და 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებას, რომლის შედეგადაც აჭარა და სამხრეთ-დასავლეთის სხვა ისტორიული მიწები, რომლებიც მეთექვსმეტე საუკუნის 70-იანი წლებიდან იყო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ბათუმის ოლქის ტერიტორიული ერთეულის ფორმით.
ცხადია, ილიასთვის ისევე, როგორც იმდროინდელი ქართული საზოგადოებისთვის, ეს არის ჩვენი ისტორიული ტერიტორიების და ჩვენი ძმების დაბრუნება ერთიან ქართულ სივრცეში, ერთიან ქართულ სხეულში. თითქოსდა ჩვენ შეიძლება დავსვათ ასეთი კითხვა: საქართველო როგორც ტერიტორიული ერთეული, იმ დროს თუ ცალკე არ არსებობს, არ არსებობს

სუვერენული ქართული სახელმწიფო, როგორ მოახერხეს ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა ილიას თაოსნობით ბათუმის და აჭარის (ანუ ოსმალოს საქართველოს, როგორც იმ დროს უწოდებენ), იდენტიფიკაცია საქართველოს სივრცესთან და როგორ მოახერხეს მათ აჭარაში, იმდროინდელ ბათუმის ოლქში, ქართული ეროვნული სულისკვეთების გაღვივება? ეს მოახერხეს, ცხადია, სრულიად გამიზნული აზრობრივი საქმიანობით. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ ილია ამ შემთხვევაში აქცენტს აკეთებს მსხვერპლზე, ფიზიკურ მსხვერპლზე, სისხლის დაღვრაზე, რომელიც ქართველმა სამხედროებმა გაიღეს რუსეთ-თურქეთის ომში. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ილია ძალიან კონკრეტულად ამას უკავშირებს ქართველების თავდადებას, ქართველების პატრიოტულ ქმედებებს არა რუსეთის იმპერიისათვის, არამედ საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლაში. იმ დროს, ვიცით, რომ რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობაში გადამწყვეტი როლი იქონია გენერალ იაკობ ალხაზიშვილის მეთაურობით ქართველთა შენაერთების მონაწილეობამ და სწორედ ამის შედეგად შემობრუნდა რუსეთ-თურქეთის ომი რუსეთის იმპერიის სასიკეთოდ და, ამავე დროს, აღმოჩნდა, რომ იყო საქართველოს სასიკეთოდაც, რამდენადაც სწორედ ბათუმის ოლქი დაბრუნდა, უფრო სწორად, აჭარა და ბათუმი დაბრუნდა საქართველოს წარმოსახვითი სხეულის შემადგენლობაში. ცხადია, ეს არ იყო იმდროინდელი გეოგრაფიული პოლიტიკური სხეული, მაგრამ ეს იყო ერთიანი წარმოსახვითი ეროვნული სხეული, რომელშიც, ილია ჭავჭავაძე ამბობდა, რომ: „ჩვენ უნდა მივიღოთ ჩვენი ძმები, ოსმალოს საქართველოში მცხოვრები. დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ მათ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე როდესაც ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და ქართველი ჩვენდა სასიქადულოდ კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ხნის განშორებულ ძმას ძმურადვე შეითვისებს“.

სინდისის და რელიგიური არჩევანის თავისუფლება ილიასთვის ის აბსოლუტური ღირებულებაა, რომლის ხელყოფაც, ცხადია, არ უნდა მოხდეს მოდერნულ ეპოქაში - მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ისევე, როგორც მისი ხელყოფა არ უნდა მოხდეს არც დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ჩვენ ვხედავთ რომ ილიას მიერ აქცენტირებული ღირებულებები მუდმივად საჭიროებს დაცვას, მუდმივად საჭიროებს კულტივირებას და მუდმივად საჭიროებს თავისი მნიშვნელობის განახლებას, უფრო სწორად, მნიშვნელობის გაცოცხლებას, იმიტომ, რომ სხვაგვარად ჩვენ შეიძლება ვერ ვიგრძნოთ, თუ რა არის ერის ერთიანი სხეული და ვერ ვიგრძნოთ, თუ რა არის ის ისტორია, რომელმაც ჩვენ აქამდე მოგვიყვანა.

ცხადია, ისტორიის როლის და ისტორიის მნიშვნელობის აქცენტირება ილიასთვის არ არის მეორეხარისხოვანი ამოცანა. ზოგ შემთხვევაში, ეს არის ისეთი სიტყვები, რომლებიც ილიას შემოქმედებიდან ერთ-ერთ ლოზუნგურ სიტყვებად გაიგება ხოლმე. თუმცა, ეს არ არის უბრალოდ ლოზუნგი. ილია ძალიან კონკრეტულად ამბობს, რომ: „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა; შვილს უნდა გარკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი - ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა“.

ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი ისტორიისადმი და, მეორე მხრივ, ისტორიასთან ერთიანობის განცდის გაღვივება არის ილიას პუბლიცისტიკის, ისევე, როგორც მისი პოეტური შემოქმედების, ამოცანა. ჩვენ ვიცით, როგორ წერს იგი პოემებს მეფე დემეტრე თავდადებულზე; როგორ წერს ის ლექსებს, სადაც ის საქართველოს ისტორიასთან ერთიანობის იდეას უკეთებს აქცენტს, მაგრამ მისი პუბლიცისტური წერილები, ცხადია, მიიჩნევა ძალიან მნიშვნელოვან წვლილად იმისთვის, რომ საქართველომ იგრძნოს იდენტიფიკაცია საკუთარ ისტორიასთან. ეს არის ის ისტორია, რომელიც არ არის რუსეთის იმპერიის ისტორია. ილიას ძალიან პრინციპულად უნდოდა ამის ხაზგასმა. მართალია, თვით საბჭოთა პერიოდშიც საქართველოში ისტორიის სწავლება უკავშირდებოდა, პირველ რიგში, რუსეთის ისტორიის სწავლებას და ეს არის ის კოლონიური მემკვიდრეობა, რომელიც მეოცე საუკუნის მოდერნიზებულ კოლონიურ რეალობაშიც საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის რეალობა იყო, მაგრამ ილიასათვის ძალიან პრინციპულია ქართველთა ისტორიის, როგორც კონკრეტული განგრძობადი პერიოდის, ჩვენება ქართველებისთვის და იმის ჩვენება, რომ ჩვენ უნდა მოვახდინოთ საკუთარი თავის იდენტიფიკაცია საკუთარ ისტორიასთან, როგორიც არის ქართველი ეთნოსის ისტორია. ამ გაგებით, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი იდეა ნაციონალური იდენტობისა და ნაციონალიზმისა შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ეთნიკური ნაციონალური იდენტობა, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ილიასათვის ეს ამოცანა უკავშირდებოდა იმდროინდელი კოლონიზებული საქართველოს რეალობას. ილია ძალიან კონკრეტულად საქართველოს დღევანდელობას, იმდროინდელ დღევანდელობას გვიჩვენებდა და გვეუბნებოდა, რომ ეს არ დღევანდელი საჭიროება, ეს არის ის მდგომარეობა, რომელშიც საქართველო არის დღეს და საქართველოსთვის ერთიანი ქართული ეთნოსის ცნობიერების შექმნა არის სადღეისო ამოცანა. მაგრამ, თვით სადღეისო ამოცანების აქცენტირების შემთხვევაშიც კი, ილიასათვის არ არის ნაკლებმნიშვნელოვანი, ცხადია, თითოეული, ადამიანის თანასწორობის უფლება და თითოეული ადამიანის თანასწორობის ცნება, რომელიც იმდროინდელ საქართველოშიც ისევე, როგორც დღესაც თითოეული ქართველის და საქართველოს თითოეული მცხოვრების, თითოეული მოქალაქის დასაცავია.